



# არსენალი

საქართველოს  
არსენალი

№10 (131). 13-26 მაისი, 2011 წ. სახელმძღვანელო-ინფორმაციო ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**გან დიდების დიპლომატიას  
განიხილეთ ამერიკული  
ზესაიდუმლო შვედოფრანი**

1425  
2011

**ვინ გავიყვავებს  
ქართულ მიწაზე:  
რუსული T-90 თუ  
უკრაინული Ckiφ-ი?**

**აღმოსავლეთი  
გაქაღონების  
ლაშქრობები**

**აისბოლავი „მარიუში“  
საეხსრავოდაღებისთვის**



**„ტყის საქმო“ — დადუსგნური გაროროისტული  
გაერთიანება აზერბაიჯანში**



გსოფლიოს N1  
გეროკისში  
გეველარია

15



კანადური  
CANSOFCOM

35



გოგელაგუენი  
საზრანსკორობო  
თვითთვრინავს მთელი  
კალით შეასკდა...

52

8 აგვისტოს  
ღაგაღაგულნი

48



ულეგრონაგესი  
ღა  
გრაკონიგროგით  
განაღგურაგული  
გუნეგა

46



გაკოლა  
გოკლა  
ღისგანსიგაგა

19

# სარჩევი

## კალიდოსკოპი

4 სამხედრო სიანლაგები

## საიღებლო

7 გან ლაღენის ლიკვიდაისი პენიკული აპერიკული  
ზანაიღებლო ვეპულფორანი

## დუქლი

10 ვინ ბაიგარჯვებს ქართულ მინაზა:  
რუსული T-90 თუ უკრაინული Ckif-9?

## ბარორიზმთან ბრძოლა

15 მსოფლიოს N1 ბარორიზმი ვიკარია, ვინ ლიკავებს მის აღმოს?

## ბაქტია

19 „მტრის თვალაგის შარის ბარჩევა“ –  
ბრძოლა მოკლე ღისბანეიზა

## კაბიონი

22 კავასიური მოკლენაგის მიმონიღვა...

## ბარორისბული მოგანიზაიბი

24 „ბჟის სემომ“ – ღაღისბნური ბარორისბული  
ბარითინაგა აზარკაიჯანეი

## ბანეშენებელი ქვეუბი

30 ბარბანული ჯაგანებენიკა

## საუბანეაშოუბი

35 კანადის საუბანეიშენაგის კალაბი CANSOFCOM

## ინოვაციური ბანელოგიბი

38 თანაბარკოვა საბრძოლო ვეპულფორანაგ

## 100 ღიღი მხეღართმთაბარი

43 აღეპსანღრა ბაკერონელი

## თეუბოგა

46 ელებრანეიკი ღა ბრაკონიერობით ბანეღბარკაბული ბუნეა

## სამხედრო როგანი

48 8 აგვისტოს ღაბაღბული

## სამხედრო ისტორიბი

52 ბოგბაგაშენი საბრანსორტო თითთფორინაგ  
მთელი კალით შეასკლა

## „არსნალი“ იარაღის მღაზი

54 აისტოღები „ბარიბი“ საუბარკაბეღბანისთის



## რედაქციის სვეტი

ოსამა ბენ ლადენის ლიკვიდაცია მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში მიღწეულ ერთ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, თუმცა საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლის გადატანა იქნება საჭირო.

საქართველო რთულ რეგიონში მდებარეობს, სადაც სხვა ქვეყნიდან პროვოცირებული კონფლიქტები ჯერ კიდევ არ ჩამქრალა და ახლა მტერი თავისი საბოლოო მიზნის მისაღწევად სხვადასხვა საშუალებას შირის არც ტერორისტულ აქტებს ერიღება.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაგეგმილი და ბოლო ღრის განხორციელებული ტერაქტები იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნა, რომელიც ერთი მხრე ტერორიზმს ებრძვის, მეორე მხრე მას სახელმწიფო ზეწოლის ინსტრუმენტად იყენებს.

**ირაკლი ალაღაშვილი**  
თეზურ ჩარანიკა

### შურაღღაგა!

ბაიოფორმი „არსნალი“  
ღა მიღებით 806,  
ორ კვირაში მოთხეღ!  
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რედაქციის ღაგპითისაგაღ  
მასალეის ბაღაგბტღგა  
ბარკალღღიბა

ბაღაგაშულია ღასაგაბტღღ  
9.05.2011

ბაგპით „კვირის კალიტრის“  
ღაგბტღგა ©  
რედაქციის მისაგართიბა:  
თბილისი, იოსეგბიის ქ. N49  
ტელ: 38-83-07 (121)

სარეკლამო ბანეოფიღღაგა:  
ტელ: 37-78-07; 38-78-70  
E-mail: arsenal@kvirispalitra.com  
შურნალი ბაგოღის  
ორ კვირაში მოთხეღ  
პარანსკეგს

# მიკრობალური იარაღი საზღაო გემოლავისთვის

# ნოვ კრიკის სხვსლოანი ფისიკალი



კომპანია BAE Systems-ი სპეციალიზირებულ მიკრობალურ ქვემეზზე მუშაობს, რომლის დანიშნულებაა მცურავ საშუალებათა ძრავების მწვობრიდან გამოყვანა იქნება.

მიკრობალური გამოსხივების მქონე იარაღი სახელე აღარ არის და მას, მაგალითად, მასობრივი არეულობის დროს, ასევე მოწინააღმდეგის საბრძოლო საშუალებათა მიკროსქემების დასაზიანებლად უკვე იყენებენ. თუმცა, ამ შემთხვევაში ლაბარაკია პირველ მიკრობალურ იარაღზე, რომელსაც სასმელო — საზღვაო ძალებში დაწესებულენ.

მიკრობალური გამოსხივებით სამხედრო მეზღვაურები 2000 წლიდან დაინტერესდნენ, როცა პორტ ადენში ამერიკულ სასეკადრო ნაღმოსან DDC67 Cole-ს თვითმსვლელი-ტერორისტებმა ასაფეთქებელი მასალით დატვირთული კატარით შეჯავსდნენ და მძიმე დაზიანებაც მიაყენეს.

ამ ინციდენტის შემდეგ დაფიქრდნენ სამხედრო მეზღვაურები იმაზე, თუ როგორ შეძლებდნენ მცირე ზომის, რამდენიმე ათეული სწრაფმგზავი მცურავი საშუალებისაგან თავის დაცვას.

პრობლემის დასაძლევად BAE Systems-ის ინჟინრებმა უპირატესობა მიკრობალურ იარაღს მანიჭეს. გვემის თანახმად, გამოსხივებამ შეტევად წამოსულ მცურავ საშუალებათა ძრავები მწვობრიდან მანამდე უნდა გამოიყვანოს, სანამ ზომადღს საზიფათო მანძილზე მიუახლოვდებიან. პერსპექტივაში, ამავე ტექნოლოგიით სხვადასხვა პლატფორმის, უპილიტო საფრენი აპარატისა თუ რაკეტის გაუყენებლბაც შეიძლება.

საინტერესო ტრადიცია აქვთ ცეცხლსასროლი იარაღის მოტრევალი რიგითი ამერიკლებს. წყნაწმადში ორჯერ, აპრილსა და ოქტომბერში, კენტუკის შტატის მთავრობაში ჩაკარგულ ნობ კრიკში ამერიკის ყველა კუთხიდან იარაღის მოყვარულებით დატვირთული ავტომობილების ქარავანი მიემართება — მოყვარულ მსროლდელებს ფესტიალზე (Knob Creek Machine Gun Shoot) მიეჭარებათ.

შოუ სამ დღეს გრძელდება და მონაწიდელები მოწინააღმდეგეობით არეობენ. რამდენადაც აშშ-ის ფედერალური კანონმდებლობა მოქალაქებს ცეცხლსასროლი იარაღის შექენის, შენახვისა და გამოყენების (განსაკუთრებულ ვითარებაში) ნებას რთავს, ფესტიალზე წარმოდ-

# ახალი სნაიპერული საშიფნა მიჯანს ავგომეგზავლ ანსოკეგს

რამდენადაც სნაიპერული ხელეუნების მთელი არსი ტყვიის ზუსტად იქ მოხვედრება, სადაც სამიხნის ჯვარედინა მიუთითებს, სნაიპერული მშშხანის სამიხნისა და ლულის მიმართულებების თანხედრის მცირეოდენი დარდევეც იქ თვით გამოციდილი სნაიპერსაც იმედს გაუცრუებს. ამიერიდან ამ პრობლემას აღმოფხვრის უახლე-სი ლაზერული სამიხნე სისტემა, რომელიც ლულისა და ჯვარედინას მიმართულებების თანხედრას ავტომატურად ასრულებს.


ახალი სისტემა ოკრაივის კრეუნულ ლაბორატორიაში ელექტრონიკისა და ლაზერის მეშეობით

შეიქმნა და მიზნად ზუსტად სროლისას ადამიანურ ფაქტორს გამოორიცხავს. ყველა საჭირო გათვლას სამიხნის კომპიუტერი ასრულებს და ჯვარედინას კორექტირებასაც თაუდეფ ახდენს. რაც მოთვარია, ახალი სამიხნე სისტემის სიზუსტე ბევრად მაღალია, ვიდრე უწინდელი მოდელებისა.

ახლა ლაბორატორიის მეცნიერები მუშაობენ ტყვიის ტრექტორიის განმსაზღვრელ სისტემაზეც, რომელიც სნაიპერს „გონიერა“ ვახნების (EXACTO) გამოყენებისას ტრექტორიის კორექტირებას ავტომატურად შეაძლებინებს.




# რუსებს ახალი ბანკის „არკადს“ იხელი აქვთ



რუსეთი 2015 წლისთვის შეიარაღებაში მიიღებს ახალ საბრძოლო ტანკს, რომლის პირობითი სახელწოდებაც „არკადა“ა. მომავალში ის რუსეთის სახმელეთო ჯარების ძირითად საბრძოლო ტანკს T-90-ს შეცვლის. რუსი სამხედრო ძალები ჩინოსნების ცნობით ტანკს სრულიად განსხვავებული ტექნიკურ-ტექნიკური მაჩასიათებლები ექნება. ტანკის ტექნიკურ დეტალებს

ვკერავრობით არ ახმაურებენ. პროექტი „არკადა“ ჩაანაცვლებს ტექნიკურად რთულ და ეკონომიკურად წამგებიან პროექტ „ობეექტ 195“-ს, რომელიც T-95-ის სახელითაც ცნობილი. რუსები იმედოვნებენ, რომ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, რომლის დაფინანსება ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ 2010 წელს შეწყვიტა, „არკადა“ უფრო მარტივია და იაფი იქნება.

# მინიატურული პიკაპები მიხანაი ზუსტად ისპრის



გამომგონებელმა, სახელად შამირმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ინტერნეტსაზოგადოების ინტერესს მინიატურული ქვემების შექმნით მიიპოვა, ამჯერად იმავე ზომის არბალეტი შექმნა. შამირმა არბალეტი ვერცხლისგან დაამზადა, თუმცა იარაღის კორპუსში ოქროც არის გამოყენებული. მიუხედავად მცირე ზომისა, არბალეტი რამდენიმე სახის ისარის ისერის და რაც მთაურია, მიხანაში!

# მოვალიონ სამხედრო, აზომოყვარულთა თვალში

საინტერესო კონკურსი ჩაატარა პენტაგონის პერსპექტიული კვლევების სააგენტო DARPA-მ. მასში ნებისმიერ მსურველს მომავლის სამხედრო მრავალმიზნობრივი ავტომობილის (XC2V) დიზაინისა და კონსტრუქციის საკუთარი ვერსიის წარმოდგენა შეეძლო.

კონკურსში მონაწილეობისთვის პროექტს უნდა დაეკავოფილებინა რამდენიმე პირობა, რომელთაგან უმთავრესი სატრანსპორტო საშუალების საომარ და სადაზვერვო მოქმედებებში გამოყენების შესაძლებლობა იყო.

კონკურსის ავტორებმა 150-მდე სამოყვარულო ნამუშევარი მიიღეს და საუკეთესოთა შერჩევა კი მიანდევს კომპეტენტურ ჟიურის, რომელმაც გამარჯვებული პროექტი გამოავლინა.

გამარჯვება ამერიკელი ვიქტორ ვარსიას პროექტმა FLYPMODE-მ. ჟიური სატრანსპორტო საშუალებაში გამოყენებულმა მოდულიზების პრინციპმა მოიხიბლა. სიტუაციიდან გამომდინარე, ექვს კაცზე გათვლილი ავტომობილის თავდახმითი ფუნქციის თავდაცვით ან სატყეირთო დანიშნულებად შეცვლას სულ რამდენიმე წუთში სჭირდება.

გამარჯვებული ნიმუშის ავტორი 7.500 აშშ დოლარით დაჯილდოვდა, ხოლო პროექტს კი განხორციელების საცამოლ დიდი შანსი ექნება.



# თავზევა საეი თვითმფრინავი „ღახკან“

სლოვენელ ავიატორებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ — ქვეყნის სამხედრო-საპაერო ძალების კუთვნილი საბი სასწავლო თვითმფრინავი Pilatus PC-9 მინდერის თავუების საზიზენ გახდა. მდრნელეებს განსაკუთრებით აეროპორტ „ბრნიკის“ სამხედრო სექტორში ვანთავებული საფრენი აპარატების კაბალები და სადენები ეგემრიალათ. ზუმრობა იქით იყოს და, თავუებისგან მიყენებული ხიანის გამოსწორება სლოვენელებს 5 ათასი ევრო დაუჯდათ.



სლოვენელთა ავიატორებისთვის განსაკუთრებით აეროპორტ „ბრნიკის“ სამხედრო სექტორში ვანთავებული საფრენი აპარატების კაბალები და სადენები ეგემრიალათ.

# თურქეთმა საპანთარი განიოს პროგრესიული უპეჟნა

თურქეთმა თავისი საბრძოლო ტანკის Altay-ს პირველი პროტოტიპი აავო და საზოგადოებას სტამბოლში შეიარაღების გამოფენაზე IDEF-2011-ზე წარუდგინა. პროექტ Altay-ს ღირებულება 500 მლნ დოლარს შეადგენს და 2015 წლისათვის ქვეყნის შეიარაღებული ძალები ტანკის ოთხ პროტოტიპს მიიღებს.

თურქული ტანკის შექმნაზე შეთანხმება ქვეყნის სამხედრო — სამრეწველო უწყებასა და თურქულ კომპანია „ოტოკარს“ შორის 2007 წელს დაიდო. ეს უკანასკნელი მოგვიანებით სამხრეთკორეულ კომპანია Hyundai Rotem-ს დაუკავშირდა და მუშაობა ერთობლივად გაგრძელდა. სამხრეთკორეულმა ფირმამ თურქებს



მთლიანად გადასცა ტექნოლოგიები, რომელიც ტანკ K-2 Black Panther-ში გამოიყენა და შესაბამისად, Altay-ში ტექნოლოგიათა 60% სამხრეთკორეულია.

თურქული ტანკის მასა 60 ტონაა, მაქსიმალური სიჩქარე კი 70 კმ/სთ-ში. ის 120 მმ-იანი ქვეშეხით MKEK

120-ითა და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრეკვეთი არის შეიარაღებული. „ალტაი“ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში გერმანულ Leopard 1A/2A-სა და ამერიკულ M48-სა და M60-ს ჩაანაცვლებს. ტანკის სავარაუდო ღირებულება 5,5 მლნ დოლარს შეადგენს.

## ნორვეგია წყალქვეშა რობოტებით უპეიარკლდა



ნორვეგიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ამერიკული კომპანია „ჰიდროიდისგან“ ორი ავტონომიური წყალქვეშა აპარატი „რამუს 100“ შეიძინეს. ნორვეგიელი სამხედროები ახალი რობოტების მეშვეობით ნაღმების აღმოჩენასა და გაუვნებლებას, ასევე წყალქვეშა სანაპირო ზოლისა და საზღვაო ბაზების მიმდებარე მონაკვეთის გაკონტროლებას აპირებენ.

„რამუს 100“-ის კონსტრუქცია მასზე სონარების, სენსორებისა და კამერების განთავსებას ითვალისწინებს. ეს აპარატი ჯერჯერობით მსოფლიოში ერთადერთი წყალქვეშა რობოტია, რომელიც საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა და ერაყში ომის დროს წყალქვეშა ნაღმების საძებნად იყენებდნენ.


37 კგ-იანი „რამუსი“ სივრცეში L6 მეტრს აღწევს და 100 მეტრ სიღრმეზე ჩავეინთვა შეუძლია.

## კომპიუტერი ჯარისკაცისთვის

ამერიკულმა კომპანია General Dynamics Intronix-მა ჯარისკაცებისთვის შექმნა სპეციალური კომპიუტერი, რომელიც Google Android-ის ოპერაციულ სისტემას მოიხმარს და მფლობელს GPS-ს ნავიგაციით უზრუნველყოფს. ჯარისკაცები კომპიუტერ GD300-ის ადგილმდებარების ზუსტი განსაზღვრისთვის, წინასწარ ჩატვირთულ სამოქმედო გეგმასთან გაცნობისთვის, ასევე თანამებრძოლების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთვის გამოიყენებენ.

კომპიუტერი 3,5-დუმიანი სენსორული ეკრანითაა აღჭურვილი და გაბარიტებით, მასითა თუ გამძლეობით სამხედროთა მოთხოვნებს სრულიად შეესაბამება. მისი ტარება მაკაზე ან გულზე ჩამოკიდებული შეიძლება.

GD300 ჩვეულებრივ ლითიუმ-იონურ ბატარეაზე მუშაობს და რეასათიანი უწყვეტი რეჟიმი აქვს გარანტირებული. მისი ოთხმკვპირალიანი ანტენა კი ეფექტს მთიან რაიონებსა და ქალაქის პირობებშიც იძლევა.



# ბენ ლაენის ლიკვიდაციას უენიკული ავიაციის ზესაიდუმლო ვეულები



## ოსაგა ბენ ლაენის სასლზე მოულოდნელი თავდასხმისას ავიკიკელ „ზღვის ლომებს“ უხმობი ვეულები ჩამოუვარდათ...

2 მაისს, გამთენიისას, მოელმა ამერიკამ და შეიძლება მსოფლიოს დიდმა ნაწილმაც შეუბოძა ამისუნიტა – 2001 წლის 11 სექტემბრის საშინელი ტერაქტების შემდეგ 100 მლნ დოლარად შეფასებული „ტერორისტთა მეფე“ – ბენ ლაენის გაანადგურეს.

სანამ აშშ-ის ხელისუფლება პოლიტიკურ ქულებს იწერდა, უურნალისტებმა და პაპარაცებმა პაკისტანის ქალაქ აბოთაბადში, იმ საცხოვრებელი კომპლექსის ეზოში, სადაც ოსამა ბენ ლაენი მოკლეს, უცნაური საფრენი აპარატის ნარჩენები აღმოაჩინეს.

სპეცოპერაციის დამთავრებისთანავე აშშ-ის ხელისუფლებამ აღიარა, რომ არც ერთი სპეცრაზმელი არ დაღუპულა, მაგრამ ავარიის განიკვლია ერთმა შეუღლებურმა, რომელიც შემდეგ თავად ამერიკელებმა ააფეთქეს.

სპეცრაზმელებმა მართლაც შეგარეს ჩაგარდნილი შეუღლებურების საღონში ტრამიტული ხელეუმატები. განნდა მაღალტემპერატურაიანი ზანძარი, რომელმაც მოლიანად ჩაწვა შეუღლებურების ფოუსლეი და ძრავები, მაგრამ კუდის ფოუსლი საჰის ხრახნიან ერთად გადარჩა.

სწორედ გადარჩენილი კუდის ხრახნის უცნარმა ფორმამ გამოიწვია მით-

ქმა-მოთქმა ავიასპეციალისტებს შორის, რადგან აქამდე ასეთი რამ არავის უნახავს.

თავიდანვე განნდა ვარაუდი, რომ გადარჩენილი კუდის ნაწილის კონსტრუქცია „სტელისის“ ტექნოლოგიით უნდა ყოფილიყო დამზადებული, ხოლო საჰის ხრახნი ზედ დამაგრებული თევშის მსგავსი დეტალით უფრო იმაზე მითითებდა, რომ ხმის ჩასახმობად იყო დაცვებული.

მართლაც, ამ სპეცოპერაციისთვის ამერიკელ სპეცრაზმელებს სწორედ ისეთი საფრენი აპარატები სჭირდებოდათ, რომელთა აღმოჩენა პაკისტანის რადიოლოკაციურ დანადგარებს გაუჭირდებოდათ, ხოლო ბენ ლაენის დაცვა ბოლო წუთამდე, სანამ შეუღლებურები მისი სამალავის თავზე არ დაეკიდებოდნენ, ვერ გაივებდა საფრენი აპარატების ხმა.

გვეი, რომ პაკისტანის ამ ქალაქის კონკრეტულ სახლში მსოფლიოს №1 ტერორისტი იმალებოდა, ამერიკელ სპეცსამსახურებს 2010 წლის ზაფხულში გაუწნდათ. მას შემდეგ მას მუდმივად უთავიკვლებდნენ როგორც კოსმოსიდან, ისე ხმელიკვიდან.

პრეზიდენტ ობამას შეეძლო გაეცა ბრძანება ეს სახლი ლაზერული დამზნების საავიაციო რაკეტით ან ბომბით

უზუსტესად გაანადგურებინათ (როგორც ამერიკელებს არავითხელ გაუკეთებიათ იმავე პაკისტანში, რომ აღარაფერი ეთქვათ ერავსა და ავლანეთზე). მაგრამ ამაზე უარი ითქვა. უარის მიზეზი შეიძლება შემდეგი ყოფილიყო: დაბობილ და დანერგულ სახლში პაკისტანის სპეცსამსახურები ოსამა ბენ ლაენის ნეშტს მაინც მოძებნიდნენ და მას „აღ-ქაიდას“ გადასცემდნენ. ეს საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია კი მათი ლიდერის საფლავს რადიკალი მუსლიმანების სათავყენებელ ადგილად აქცევდა.

ამერიკული მხარისთვის მოავარი იყო ბენ ლაენის არა მარტო ლიკვიდაცია (და არა დატყვევება), არამედ მისი ნეშტის გაქრობაც.

ამიტომაც არჩევანი სპეცოპერაციაზე შეჩერდა, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ბენ ლაენის სამალავს 4-6 მ სიმაღლის გალავენი ერტვა, რომლის ვადასალახავად სპეცრაზმს სპეციალური საშუალებების მიტანა დასჭირდებოდა პაკისტანის ამ ქალაქამდე, რაც შეუძნეველი იყო დარჩებოდა.

„ზღვის ლომების“ სპეცდანიშნულების რაზმის მეთაურობამ დესანტირება უშუალოდ „სტელისის“ შეუღლებურებიან გადაწყვიტა. ისინი უხმაროდ მიფრინ-

ამერიკელი სპეცრაზმელები  
ძირითადად MH-60 ტიპის ამ  
შვეულმფრენებს  
იყენებენ



სავარაუდოდ სწორედ ასე  
გამოიყურებოდა ის ზესაიდუმლო  
„სტელსის“ შვეულმფრენი,  
რომელიც ბენ ლადენის  
ლიკვიდაციისას მისი სამალავი  
სახლის ეზოში ჩამოვარდა. ზანძრის  
შემდეგ საიდუმლო შვეულმფრენის  
მხოლოდ ეს, კუდის ნაწილი გადარჩა

დებოდნენ და ჩამოეკიდებოდნენ ბენ ლადენის სახლის ეზოს თავზე, სპეცრაზმელები კი ბაგირებით წამებში დაუშვებდნენ მიწაზე და დაიწყებდნენ იერიშს.

სავარაუდოდ, ასეც მოხდა, სახლის ეზოს თავზე დაბალ სიმაღლეზე დესანტირებისთვის ჩამოკიდებული „უჩინარი და უსმარო“ ამერიკული სატრანსპორტო შვეულმფრენი მიწას დაენარცხა. მიზეზი შეიძლება იყოს ცოფილიყი: ან ბენ ლადენის მცველებმა მაინც გააგეს შვეულმფრენის სმაური (აბსოლუტურად უსმარო შვეულმფრენის შექმნის ტექნოლოგია ჯერჯერობით არ არსებობს) და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ჯერებით დაზიანეს, ან თავად პილოტებმა ვეღარ შეძლეს გადატვირთული შვეულმფრენის „დაჭერა“ ერთ

ადგილას, მართვა დაკარგეს და შვეულმფრენიც ჩამოვარდა.

ასეა თუ ისე, მსოფლიოს №1 ტერორისტის მართალია ლიკვიდირებულია, მაგრამ სამაგიეროდ პენტაგონმა გაამულაფა ზესაიდუმლო – ის, რომ მას შეიარაღებაში „სტელსის“ პროგრამით შექმნილი შვეულმფრენები ჰყავს!

სავაიციო სპეციალისტების აზრით, ზესაიდუმლო შვეულმფრენი შეიძლება კარგად ცნობილი ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენ UH-60 Black Hawk-ის სპეციალური მოდიფიკაცია MH-60-ის „სტელსის“ ვარიანტს წარმოადგენს.

ბენ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ ამერიკულ პრესაში გაჟონა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც აშშ-ის შეიარაღებულ ძალების სპეციალური ოპე-

რაციების სარდლობას USSOCOM-სა და სავაიციო ფორმა Boeing-ს შორის ჯერ კიდევ ათი წლის წინ მიმდინარეობდა მოლაპარაკება MH-60 ტიპის ბაზაზე მისი „სტელსის“ ვარიანტის შექმნის თაობაზე. ექსპერიმენტის სახით „სტელსის“ შვეულმფრენები უნდა გადაეცათ აშშ-ის არმიის 160-ე სპეციალური დანიშნულების სავაიციო პოლკისთვის, რომელიც სპეცრაზმელების საიდუმლო ოპერაციების ჩატარებაში ეხმარება.

ორივე წლის წინ ეს პროგრამა შეჩერდა, მაგრამ სავარაუდოდ ამერიკელმა სამხედროებმა მოასწრეს სამი „სტელსის“ შვეულმფრენის მიღება.

„სტელსის“ შვეულმფრენის სხვა პროგრამა ნაკლებად გასაიდუმლოებული იყო და ითქმის მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ ორი ცნობილი ამერიკული სავაიციო ფორმა Boeing-ი და Sikorsky ერთობლივად ქმნიდნენ სადაზვერგო-დამტრეტელ შვეულმფრენ RAH-66 Comanche-ს, რომლის აღმოჩენა ინფრასივით, რადიოლოკაციურ- ოპტიკურ და აკუსტიკურ სექტორებში განთავსებული უნდა ყოფილიყო.

RAH-66 Comanche-ს თანდათან-



ბით ამერიკული არმიის შეიარაღებულნი და უნდა გამოეყენებინა AH-64 Apache და ულტრაბირთვული შრავალდანიშნულების შვეულმფრენი გამზადარიყო.

მიუხედავად იმისა, რომ „კომანჩის“ პროგრამაზე 8 მლრდ დოლარამდე (1) დაიხარჯა, 2004 წელს პენტაგონმა ეს პროგრამა შეაჩერა და მოდერნიზებული AH-64D Apache Longbow-ების შესყიდვა გადაწყვიტა, თანაც კომპენსაციად „ბოინგს“ და „სიკორსკის“ ფირმებს 700 მლნ დოლარიც გადაუხადა.

2011 წელს დაიწყო AH-64D Apache Longbow Block III-ის ბოლო მოდიფიკაციის სერიული წარმოება, რომელშიც „კომანჩის“ ბევრი ტექნოლოგია გამოყენებული, რის გამოც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბენ ლადენის სამაღათთან ჩამოვარდნილი და დამწვარი ამერიკული ზესაიდუმლო შვეულმფრენის კონსტრუქციამაც უხვად იყო გამოყენებული „კომანჩის“ ტექნოლოგიები.

დაწვას გადარჩენილი ამერიკული ზესაიდუმლო შვეულმფრენის ნარჩენები – კულის ნაწილი, სტაბილიზატორები და საჭის ზრახნი პაკისტანის სპეცსამსახურების განკარგულებაშია, თუმცა მათ ხელში ჩაგდებას უშეძლებია უკვე ცდილობენ რუსეთის და ჩინეთის სპეცსამსახურები.

1999 წელს, როდესაც სერბებმა იმ დროისათვის ასევე გასაიდუმლოებული „სტელსის“ პროგრამით დამზადებული ამერიკული დამრტყმელი თვითმფრინავი F-117 Night Hawk-ი ჩამოაგდეს, მის ფრაგმენტებზე ნაღობა რუსეთის სამხედრო დაზვერვამ – ГРУ-მ დაიწყო და წარმატებასაც მიაღწია.

მაშინ ჩინელებსაც ძალიან უნდოდათ ამერიკული „სტელსის“ საიდუმლოებების გაგება. თუმცა აზერად მათ ბევრად

**RAH-66 Comanche-ს პროგრამა მართალია პენტაგონმა გააუქმა, მაგრამ ბენ ლადენის ლიკვიდაციას გამოადგა „კომანჩის“ ტექნოლოგია**



**პაკისტანელებმა მოკლული ბენ ლადენის ნაცვლად „დატოვებული“ ამერიკული ზესაიდუმლო ტექნოლოგია შეიძლება ჩინელებს პარტიანად მიუხილონ...**

მეტი შანსი აქვთ, ვიდრე რუსეთის დაზვერვას, რადგან ტრადიციულად ჩინეთ-პაკისტანის სამხედრო თანამშრომლობა მჭიდროა, მაშინ როდესაც მოსკოვი ძირითადად პაკისტანის მოწინააღმდეგეს – ინდოეთს ააზრავს.

პაკისტანის სპეცსამსახურები, ალბათ, არ დაინანებენ ბენ ლადენის ლიკვი-

დაციას „შეწირული“ ამერიკული ზესაიდუმლო შვეულმფრენის ფრაგმენტების გადაცემას ჩინელი პარტიზორებისათვის და რამდენიმე წლის შემდეგ პეკინის თავზე სამხედრო ადღუპის დროს მიეღო მსოფლიო ჩინურ „უხილავ და უხმაური“ შვეულმფრენებს იხილავს.

**ირაკლი ალაგაძე**



# ვინ გაიქვარავენ ქართულ მიწაზე:



რუსეთის არმიის T-90 ტანკი. მარჯვნივ - T-90A-ის მთავარი შეიარაღება. მარჯვნივ - T-90A-ის მთავარი შეიარაღება. მარჯვნივ - T-90A-ის მთავარი შეიარაღება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ წესდებოდა არ შეიქმნებოდა იმის საფუძველი, რომ რუსეთის ტანკების (ანაკრებების) დამოუკიდებელი განვითარება და ავტონომიური განვითარება დაიწყებოდა. ამის საფუძველი იყო T-72-ის (ანაკრებების) დამოუკიდებელი განვითარება და ავტონომიური განვითარება დაიწყებოდა.

ავტონომიური განვითარება იმის მხარე გამოიწვევდა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები საბრძოლო ფორსირებით გამოიყენებოდა. რუსეთის შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

სამ წელს წინაშე იმის საპრობლემატიკო კითხვები დაიწყო, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები რუსეთის შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

2008 წლის ავტონომიური განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

კონკრეტულად T-90A ტანკების შემთხვევაში, რომლებიც იმ პერიოდში იყვნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

რუსეთის შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

# არსული T-90 თუ უკრაინული Cქიფ-0?



სხვა T-90A წინაბრძოლა T-72-ისაა, რომ უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი?

მართალია, T-90A თვითდაზარალებული T-72-ის (რომელიც პირველია უფრო ძველი ვიდრე სოფლის 70-ანი წლებში გამოიშვა) მე-19 მოდიფიკაციაა და ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში.

ეს უპირატესად მის ჯეშინს და განსაკუთრებით T-72-ისგან განსხვავებით T-90A-ს კონსტრუქციის და მოდიფიკაციის განხილვის შემთხვევაში.

სხვა კითხვა უკრაინული დიფენსის დივიზიონის კომანდირი კონსტანტინე ბილიჩისაა, რომელიც უკრაინული შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

წინააღმდეგ 1350 30 სიჩქარის მართალია უფროდის ჯეშინს კეთილმოეხება.

უკრაინული T-90A ჯეშინს განსაკუთრებით T-72-ისგან განსხვავებით T-90A-ს კონსტრუქციის და მოდიფიკაციის განხილვის შემთხვევაში.

ეს კითხვები დამოუკიდებელია, რადგან ქართული არმიის შეიარაღების არსებული სხვა ტანკებისაგან განსხვავებით T-90A-ს კონსტრუქციის და მოდიფიკაციის განხილვის შემთხვევაში.

უკრაინული შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

T-90A-ის დანახვა უკრაინული შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

უკრაინული შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

უკრაინული შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

უკრაინული შეიარაღებული ძალების განვითარების და დასრულების შემდეგ, ტანკები.

მდელო სარაკეტო კომპლექსი Cქიძ-ები, რომლებსაც ეფექტურად შეუძლიათ ბრძოლა რუსულ T-90A-ებთან.

იმვე სახის ინფორმაცია სხვადასხვა ინტერნეტფორუმზეც უხვადია. ჩვენ არ შეგვიძლია დავადასტუროთ ან უარვყოთ ეს ინფორმაცია, თმცა ვეცდებით გავანალიზოთ, ვის დარწმუნე გამარჯვება, თუკი ქართულ მიწაზე ერთმანეთს რუსული T-90A-ები და უკრაინული Cქიძ-ები მართლაც დაუპირისპირდნენ.

გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი Cქიძ განკუთვნილია უძრავი და მოძრავი ჯავშანსამიზნეების, მათ შორის, დინამიკური დაცვის ელემენტებით აღჭურვილების გასანადგურებლად.

ოგი გასაშლელ სამეფაზე დამაგრებული გასაშლელ მოწყობილობის, სარაკეტო კონტეინერის, დასამიზნებელი მოწყობილობის და დისტანციური მართვის პულტის კომპლექსს წარმოადგენს.

კონსტრუქტორების მტკიცებით, Cქიძ-ით ნასროლ რაკეტას 50-დან 5000 მ სიშორეზე შეუძლია პირველი კუმულაციური ქობინით ააფეთქოს ტანკის კორპუსზე დამაგრებული დინამიკური დაცვის ელემენტები, ხოლო მეორე, ტან-

დემურად განთავსებული მთავარი კუმულაციური ქობინით ტანკის ჯავშანი 850 მმ-მდე გახვრიტოს. მაგალითად, იგვე მაჩვენებელი „ფაგოტისთვის“ მხოლოდ 400 მმ-ია (თუკი ტანკს დინამიკური დაცვის ელემენტები არა აქვს). თუ მიხვედრის კუთხე 90 გრადუსს შეადგენს, 60-გრადუსიანი კუთხის შემთხვევაში კი ჯავშანგამტანობა 200 მმ-მდე ეცემა.

„ფაგოტის“ გაუმჯობესებულ ვარიანტს „კონკურსს“ ეს მაჩვენებლები შედარებით უკეთესი აქვს, შესაბამისად 600 მმ და 250 მმ, თმცა თუკი ტანკზე დინამიკური დაცვის ელემენტებია, ერთიანად „კონკურსის“ ეფექტურობა მნიშვნელოვნად ეცემა.

მეორე და ყველაზე დიდი უპირატეობა „სკიფის“, „ფაგოტსა“ და „კონკურსთან“ შედარებით ის არის, რომ მისი მოქმედების მაქსიმალური სიშორე დღისით თითქმის 5 კმ-ს აღწევს, მაშინ როდესაც „კონკურსის“ 4 კმ-მდეა, ხოლო „ფაგოტის“ კი მხოლოდ 2,5 კმ.


თუკი კარგად მომზადებული მსროლელ-ოპერატორი მართლაც შეძლებს 5 კმ სიშორიდან ზუსტად მოარტყას მოძრავ T-90A-ის კორპუსს, იგი გამარჯვებული დარჩება, რადგან ტანკის მე-

მიზნის ზუსტი გასროლა ამ მანძილზე გაუჭირდება.

„სკიფის“ კიდევ ერთი უდიდო უპირატეობა ისიც არის, რომ ოპერატორს დამიზნება და გასროლა გადასატანი დისტანციური მართვის პულტით შეუძლია, რომელიც გასაშლელ მოწყობილობასთან 50 მ სიგრძის კაბელითა მიერთებული. რაკეტის გასროლისას წარმოქმნილი ცეცხლის ალი და მტვერი მოწინააღმდეგვს სტარტის ადგილის ადგილების საშუალებას აძლევს და ის შეიძლება საპასუხო ცეცხლით გაანდგუროს. ეს საშიშროება ეშუაქრება ყველა ყუმბარმტვირცენელსა და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის ოპერატორს, ვარდა „სკიფისა“, რომლის მსროლელ-ოპერატორი გასაშლელ დანადგარდან რამდენიმე ათეულ მეტრში სანგარშია ჩამალული და იქიდან სამართავი პულტის ვიდეოეკრანზე ხედავს სამიზნეს და მის მიზნისუნას ჯოისტიკით ახდენს.

კიდევ ერთ უპირატეობად ის ფაქტორიც უნდა ჩაითვალოს, რომ სტარტის შემდეგ „სკიფის“ რაკეტა დამიზნების დერბის თვზე დაახლოებით 10 მ სიმაღლეზე მიფრინავს და მრავს საქ-

გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი Cქიძ-ის დამიზნების სისტემა მუშაობს ზღვრული სიხვის გამოყენებით, მიზნის ავტომატურ რეჟიმში თანმიდევნებულ. დამიზნების მოწყობილობას აქვს სატელევიზიო და თბოვიზორი არხები, ფართად ვიწრო ზედვის არეალებით ფართო ზედვის არეალი გამოიყენება მიზნის მოსაძებნად, მეორე კი მის „ჩასატყარად“ სამიზნეში. დასამიზნებელ მოწყობილობაზე დამატებით დასაყენებელი თბოვიზორული კამერა უზრუნველყოფს დამით ზუსტად სროლას. ტანდემურად განთავსებული კუმულაციური, ოქობინიანი რაკეტა გასაშლელ კონტეინერთან ერთად 28 კგ-ს იწონის, მისი კალიბრი 130 მმ-ია, ხოლო კონტეინერის სიგრძე 1360 მმ. დამიზნების ხელსაწყო მას 15 კგ-ია, გასაშლელი დანადგარის — 27 კგ, დისტანციური მართვის პულტისა კი 12 კგ. Cქიძ-ები უკვე შეისყიფეს უკრაინის, ბელარუსის, აზერბაიჯანისა და ვაზაზეთის არმიებმა.





T-90A Владимир-ი რუსეთის არმიამ შეიარაღებაში 1992 წელს მიიღეს. მისი საბრძოლო მასა 46,5 ტ-ს შეადგენს. ეკიპაჟში 3 კაცია. მისი სიგრძე 6,8 მ (ლულიანად 9,5 მ), სიგანე — 3,8 მ, ხოლო სიმაღლე კი 2,3 მ. კლირენსი 49 სმ-ს შეადგენს. ტანკი შეიარაღებულია 125 მმ კალიბრის გლუველულიანი ქვეშებით, რომლიდანაც ჭურვების სროლის გარდა, მართადაც ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გაშვებაც შეიძლება. საბრძოლო მარაგი 42 ჭურვსა და რაკეტას შეადგენს, საიდანაც 22 ავტომატური დატენვის მექანიზმითა განთავსებული. ტანკი ასევე შეიარაღებულია თითო-თითო 7,62 და 12,7 მმ ტყვიამფრქვევებით. დიზელის ძრავს სიმძლავრე 1000 ცხ.ძ-ს აღწევს. ასფალტირებულ გზაზე ტანკი მაქსიმალურ 60 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს და საწვავის მარაგი 550 კმ-ის გავლის საშუალებას აძლევს.

შენიდან გამოსული გაზრებული აირის ჭკული დამიზნების აპარატურას ხელს არ უშლის. მიზანში მოხედრამდე ერთ-ორი წამით ადრე რაკეტა ეიზირების ლერძე ეშვება.


ამდენი დაღები თვისების მიუხედავად, შეიძლება გამოჩნდეს მთავარი პრობლემა, რამაც ხელ შეუშალოს უკრაინული Скіф-ების ეფექტურ გამოყენებას რუსული T-90A-ების წინააღმდეგ.

საქმე ის არის, რომ „სკიფის“ მართვის სისტემა მუშაობს ლაზერული სხივის გამოყენებით, მიზნის ავტომატურ რეჟიმში თანმიდევნებით.

რუსულ T-90A-ებს აქვთ ოპტიკურ-ელექტრონული ჩანზომის სისტემა Шторма-1, რომლის დეტექტორები აფიქსირებენ ლაზერის სხივს, თუკი ეინმე ის ტანკისკენ მიმართა. „შტორას“ აქვს ორი ელექტრომაგნიტური გენერატორი, რომლებიც კომკურაზე ლულის ორივე მხარესაა განთავსებული

ფოტოფაქტი T-90A-ები გუდაუთის რუსულ საოკუპაციო ბაზაზე





ყუმბარებით კვამლის ფარდს წარმოფარებას“.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მთაკინც გვემკის უკრაინული „სკიფების“ გამოყენებას რუსული T-90A-ების წინააღმდეგ.

და კიდევ ერთი საშიშროება მომდინარე რუსული T-90-ებიდან: მათ საბრძოლო კომპლექტში არის 125 მმ-იანი მსხვერფედი-ფუგასური ჭურჭები, რომელთაც დისტანციურად აფეთქებენ. მაგალითად, T-90A-ს ოპტიკურ-ელექტრონული ჩანაშობის სისტემამ Шторпа-1-მა დააფიქსირა СКИФ-ის გაშვებული ლაზერის სხივი, ავტომატურად განსაზღვრა მიმართულება და მანძილი, რის შემდეგაც ამ მიმართულებით ტანკის შემხენე ისერის ჭურჭს, რომელიც განსაზღვრული მანძილის ფრენის შემდეგ ზუსტად „სკიფის“ ოფზე დისტანციურად ფეთქდება და ნამსხვერფებით ზემოდან აზიანებს როგორც თავად სარაკეტო დანადგარს, ისე 50-დე მეტრში მიმალულ მის გათვლას.

**ირაკლი ალაღაშვილი**

**„შტორას“ ორი ელექტრომაგნიტური გენერატორი მუშა მდგომარეობაში წითლად ანათებენ (ზედა სურათი) კომკურანზე დამაგრებული ყუმბარასატყორცნებიდან ტანკი აეროზოლის საფარს სამ წამში ქმნის (ქვედა სურათი)**

და მუშა მდგომარეობაში ისინი წითლად ანათებენ. მათ მიერ გამოყოფილ მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღებს მწვობრიდან გამოიყვებს ის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები, რომელთა დამიზნება ინფრარითულ დიაპაზონში ხდება. ლაზერის სხივით მართული რაკეტების მიმართულებით ტანკის კომკურანზე დამაგრებული ყუმბარასატყორცნებიდან გაიტყორცნე-

ბა სპეციალური ყუმბარები, რომლებიც სამიოდე წამში ისეთი კვამლის ფარდას „ჩამოაფარებენ“, რომლის უკან ტანკი აღარც მოჩანს. ამ დროს ტანკი მანევრს აკეთებს და მონანდაკარგული რაკეტის მართვის მიწყობილობა იბნევა. იმის გათვალისწინებით, რომ მაქსიმალურ, 5 კმ-ზე მყოფ მიზნამდე მისაფრენად „სკიფის“ რაკეტას 23 წმ სჭირდება, T-90A-ს კეიპაჟი მოასწრებს აეროზოლიანი



# ესოფლიოს N1 ზეპირისში გავლარია, ვინ დაიკავეს მის ადგილს?

2 მაისს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამ სენსაციური განცხადების გაკეთება არავის ანდო და მთელ მსოფლიოს თუმცა მხოლოდ ამცინა: „ამერიკელების სამხედრო ოპერაციის შედეგად დაიღუპა „ალ-ქაიდას“ ლიდერი ოსამა ბენ ლადენი“.

ობამამ აღნიშნა, რომ პრეზიდენტის პოსტის დაკავების მომენტდამდე გასცა ბრძანება, დაეჭირათ ან გაენადგურებინათ ბენ ლადენი. მისი სიტყვებით, ბენ ლადენის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია 2010 წლის აგვისტოში გახდა ცნობილი. 2011 წლის მარტში ეს ინფორმაცია დადასტურდა. აპრილის ბოლოს პრეზიდენტმა სპეცოპერაციის ჩატარების ბრძანება გასცა, რათა დაეჭირათ ან გაენადგურებინათ ბენ ლადენი.

ამ ინფორმაციის შემდეგ ამერიკის დიდი ქალაქების ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა საჩუქრად, ზოგიერთ მათგანს ხელში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად დაღუპული ახლობლის სურათი ეჭირა და თვალცრემლიანი იძვლებდა ინტერვიუს: აქებდა სამხედრო სპეცრაზმის სიზაუქსს და პრეზიდენტ ობამას „მხედრობითი გერეკული“ ნიჭს. თუთ სახლთან შეკრებილი დემონსტრანტები სკანდირებდნენ „აჰ! აშშ!“.

N1 ტერორისტად შერაცხილი ბენ ლადენის ლიკვიდაცია აშშ-ის ადმინისტრაციამ პოლიუღურ ტრადიციად და წინასწარჩევი პიარაქტივად აქცია. ის ტერაქტით გერეკული ფიგურებია, ხალაქ ჩანს, თუ როგორი ყურადღებით მისწერებია რაღაცას ობამას ადმინისტრაციას: სახელმწიფო მდივანი პილარი კლინტონი დაბაბუღია, პენსიანე მიმავალი თვალცრემლიანი მინისტრი რიბერტ გეითის შუბლმუკუნხილია, ხოლო ამ სცენას აკვირეკინებს ბარაკ ობამას გამჭოლი მხერა.

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ოსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციას თვალს ონლაინჩევიში ადევნებდა. სპეცდანიშნულების რაზმების მოქმედების აბოთაბიდან ვაშინგტონში პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ.

ბერე უცხოელი ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ ეს სპეცოპერაცია თუ უშველის ობამას დაეკმულ საპრეზიდენტო რეიტინგს. მართლაც, 2012 წლის



ბენ ლადენს ვერც ეს მოკლელულიანი „აკადამიკოვი“ დაებმარა

საპრეზიდენტო არჩენები არც ისე შორსაა და პირველი აფროამერიკელი პრეზიდენტი მეორე ადით არჩევეს უკვე მუშაობს.

## ბენ ლადენის ლიკვიდაციის ამერიკული მხრისა

აშშ-ის ადმინისტრაციის ოფიციალური განცხადებებით ირეკვეა ამ სპეცოპერაციის დეტალები. ჩვენც ვერ ამ ინფორმაციას შეოთავაზებთ.

ბენ ლადენი დაიღუპა ქალაქ აბოთაბადში, ისლამაბადიდან 100 კმ-ში გამაგრებულ კომპლექსში. კომპლექსში სულ რაღაც 700 მეტრშია პაკისტანის

სამხედრო აკადემიიდან. პაკისტანის სამხედრო აკადემია, ბრიტანული აკადემია სანდჰერსტის ანალოგი, კლიტური სამხედრო სასწავლებელია. ვილა მდებარეობს სამხედრო აკადემიის ქალაქის ტერიტორიაზე და იქ უმჯველია, იქნებოდნენ სამხედროები და საკონტროლო-გამშვები პუნქტები.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, ოპერაცია დაიწყო 22:30 საათზე ადგილობრივი დროით და 45 წუთი გაგრძელდა. ორისამი შეკულმფრენის გამოჩენა ქალაქში პანიკა გამოიწვია.

ოპერაციის მზანა იყო კომპლექსის შუაგულში მდგარი სამსართულიანი შენობა. კომპლექსს 3000 უკუჯა



100 მლნ დოლარად შეფასებული ტერორისტის ლიკვიდაციას აშშ-ის ხელისუფლება დროის რეალურ მასშტაბებში უყურებდა



და სამმეტრიანი კვლდითა და მკოთულ-ხლართობითაა შემოღობილი. გვერცულეული ინფორმაციით, კომპლექსში სატელეფონო ხაზები არ შედიოდა და იქაურობა სუსე იყო ვიდეოკამერებით კაშპირს კურიერების მემუკობით ამკარებდნენ. სწორედ ერთ-ერთი მათგანი აწვედა ბენ ლადენის შესახებ ამერიკელებს ინფორმაციას (სხვა წყაროებით ბენ ლადენის ადგილმდებარეობა მისი დაცვის ერთ-ერთი თანამშრომლის ტელეფონის მიხედვით დადგინდა). მოსახლეობის თქმით, შეველმფრენებიდან გადმოვიდა პუმტუს ენაზე მოლაპარაკე რამდენიმე კაცი, რომლებმაც თხოვეს, ჩაქერიოთ შუქი და ქუჩაში არ გასულიყენენ.

შემდეგ მცხოვრებლებმა გაიგონეს სროლის ხმა და დაინახეს, თუ როგორ ჩამოვარდა ერთი შეველმფრენი და მიწას დაეწარცხა. ოპერაციის შემდგომ ჰვეებდნენ, რომ ჩანდა ცეცხლის კომპლექსის მთავარი შენობის ფანჯრებიდან. აბოთაბადელების თქმით, კომპლექსში ქალებიცა და ბავშვებიც ცხოვრობდნენ. კომპლექსი რამდენიმე წლის წინ აშენდა, მაგრამ არაფერ იცოდა, ვინ ცხოვრობდა იქ.

სააგენტო „ასიშოეთოდ“ დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ სახლი აშენდა „სპეციალური პროექტის მიხედვით“, როგორც „ნისმ-ვივლეონა“ ტერორისტული ფიგურის“ თემუქსავარი და ცენტრალური სადაზ-

ვერუო სააგენტოს სპეციალისტებმა ფარაუდეს, რომ ეს ბენ ლადენი იყო. სპეცოპერაციის შემდგომ, პაკისტანის არმიამ რაიონი თავის კონტროლქვეშ აიყვანა.

### „ტერორისტი N1“

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აშშ-ის სპეცსამსახურებმა ოსამა ბენ ლადენი „N1 ტერორისტად“ გამოაცხადეს, გაუყინეს საბანკო ანგარიშები და ხუთ მილიონ დოლარს შეპპირდნენ იმას, ვინც მის ადგილსამყოფელს გასცემდა. წლების განმავლობაში ჯილდო იზრდებოდა და უკანასკნელ პერიოდში, სხვადასხვა ინფორმაციით, 100 მილიონ დოლარსაც კი მიაღწია.

აშშ-ის 2004 წლის საბრუნდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ბენ ლადენმა ვიდეომიმართვაში ადიარა „ალ-ქაიდას“ მინაწილეობა 11 სექტემბრის ტერაქტებში და დაამატა, რომ თვითონაც ჰქონდა ამ ტერაქტთან პირდაპირი კავშირი. აღნიშნულ დამკვეთული სახუდრო ოპერაციის გამო უსამბენ ლადენი მიიძალა.

### შობაგი ყოველთვის დეტალურია მივალული

ამ პიროვნების შესახებ უკვე იმდენი დაიწერა, რომ მისი ბიოგრაფიის დეტალებით აღარ გადავლდით მკითხველს. მოუხელთებელი „წვეროსანი ტერი-

რისტი“ იმდენად მითური პიროვნება გახდა, რომ ბუკნის არც კი სჯეროდა მისი რეალური არსებობისა.

„დეილი ტელეგრაფის“ ინფორმაციით, პაკისტანის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ბენ ლადენის ქალიშვილს გაესუბრნენ. გოგონა, სახულად სოფია, 12-13 წლისაა. ის შინ იყო, როდესაც ამერიკელი სამხედროები შეიკვედნენ. გოგონას თქმით, მამა მის თვალწინ დაიღუპა. სახლში ტერორისტის ვაჟიც იმყოფებოდა, რომელიც სამხედროებმა თან წაიყვანეს. შინობაში კიდევ რვა არასრულწლოვანი იყო. ბავშვებს პაკისტანის სპეცსამსახურები დაჰკითხავენ.

ამერიკელების თვითცალკური ინფორმაციით, ოპერაცია ამერიკელმა სახულად ქვეითებმა ჩაატარეს, ხოლო ოსამა ბენ ლადენი ორმხრევი სროლისას დაიღუპა. აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ტერორიზმთან ბრძოლაში ჯინ ბერნანის თქმით, ბენ ლადენს წინააღმდეგობა რომ არ გაეწია, მას დააპატიმრებდნენ. ცოტა ხნით ადრე კი თითონ სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვეია კენრიმ განაცხადა, რომ ბენ ლადენი უიარაღო იყო, შეიარაღებული წინააღმდეგობა მასთან მყოფობა პირებს გასწევს. საინტერესოა, საშამ თუ ოთხმა ბოვეკმა 45 წუთის განმავლობაში ასეთი რა წინააღმდეგობა გაუწია რამდენიმე ათეულ ამერიკელ სახულად ფიროსანს? რომელ ინფორმაციას ვენდით?

# რატომ ვერ ხერხდებოდა ამეზღვის ნიმუხობის

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტერაქტების სერიიდან ჩანს, თუ რა-ოღონ დიდ შეცდომას უშუალებს მსოფლიოს უძლიერესი სპეცსამსახურები, როცა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში ოპერატიული-აგენტურული მეთოდების დიდი არსენალიდან უპირატესობას ოპერატიული ტექნიკის გამოყენებას ანიჭებენ.

ფარული მოსმენების (კოსმოსური თანამგზავრიდან, ფიჭური თუ ჩვეულებრივი ტელეფონებიდან) გზით ინფორმაციის მოპოვება ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ის არ იქნა გაფრთხილებული აგენტურული, ანუ „ციცხალი“ წყაროსგან“ მოპოვებული ინფორმაციით, მაშინ საბედისწერო შეცდომის დაშვების ალბათობა ძალზე დიდია.

ასე მოხდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების დროს, როცა აშშ-ის სპეცსამსახურებს — ცს-ს, გფ-ს და ეუ-ს მომავალი ტერაქტების შესახებ ელექტრონული დაზვერვით მიღებული სხვადასხვა „ინფორმაციული ნაკლევი“ ჰქონდათ, მაგრამ ერთიანი სურათის შექმნა და ტერორისტების მოქმედებათა პროგნოზირება ვერ შეძლეს.

ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაციის გადაუმოწმებლობას ბევრჯერ მოუტანია უკუშედეგი. დაზვერვის რომელ სახეობას — კოსმოსიდან, რადიოელექტრონულს თუ აგენტურულს უნდა მიეცეს უპირატესობა ტერორიზმთან ბრძოლაში?

ამჟამად ტექნიკური საშუალებებით მიღებული ინფორმაციის „დაჭერა“ შეიძლება, რომ მათი გადაუმოწმება ვეღარ ხერხდება, ამიტომაც პრობლემად იქცა ინფორმაციის გაანალიზება. ამ დროს ვერ უსრუბა ინფორმაციათა დიდი მას-



საცხოვრებელი კომპლექსი პაკისტანის ქალაქ აბოთაბადში, სადაც უსამა ბენ ლადენი ბოლო წლები იმალებოდა

სივების ერთმანეთთან დაკავშირება და ტერორისტთა შემადგომი სუბლების გათვლა თუ პროგნოზირება.

აგენტურული და ტექნიკური დაზვერვა ერთმანეთს აჯეს, თუმცა პირველს დიდი უპირატესობა აქვს, რასაც კოსმოსური მშვერვ-თანამგზავრი და სატელეფონო მოსმენებით ვერ დაადგენ, ვერც, ტერორისტთა ვინაობის, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, მოქმედების მეთოდებისა და ტაქტიკის, ფინანსური რესურსებისა და აარადის მიღების წყაროებისა და არხების, ტერორისტთა ბაზების და ბანაკების ზუსტი განლაგების დადგენა. ამ ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისი დონისებები ტერაქტამდე უნდა გატარდეს, რათა ტერორისტებმა მისხან ვერ მაღწიონ.

აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ აგენტურულ მუშაობაზე ყურადღების შემცირება რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული.

ვერ ერთი, გასული საუკუნის 60-90-იან წლებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის არახელმა წარმატებამ „დათურვი სამსახური“ გაუწია მსოფლიოს წამყვან სპეცსამსახურებს. დაიღრმა ბალანსი ტექნიკურ და აგენტურულ დაზვერვებს შორის პირველის სასარგებლოდ. ჩამოყალიბდა სტრუქტურა და მათი იმის შესახებ, რომ „თუ კოსმოსური მშვერვ-თანამგზავრიდან ასანთის კოლოფს დვინახათ და ავტომობილის ნომრებს წვათიანხავთ, მაშინ ტერორისტები ვეღარ გაგვეციკვან“. ამის გამო 40 წელია, რაც მსოფლიოს წამყვან სპეცსამსახურებმა მკვეთრად შეამცირეს აგენტურის გადმოიბრების ხარჯები.

მეორე მიზეზი „ცვი ომის“ დაბთვებამ და საბჭოთა კავშირის დანგრევა იყო. გამარჯვების ეფორიაში მყოფმა ამერიკელმა კანონმდებლებმა შეამცირეს დაზვერვის ხარჯები. ერაყში დიქტატორის სადამ ჰუსეინის ან ბენ ლადენის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციები გაცილებით ნაკლები მსხვერპლით დაბთვებულა და საომარი კამპანია ასე ძვირი არ დაჯდებოდა, ცს-სა და MI6-ს სათანადო თანხები ჰუსეინის ახლო (უპირველესად მისი შეილების) გარემოცვაში და ბენ ლადენის მებრძოლებში აგენტურის გადმოხაზობებულად რომ დატარებულა. სწორედ ამანუა ნათქვამი, მუწნი ორჯერ იხდისო. მესამე მიზეზი თითო ტერორისტების ტაქტიკის შეცვლაა. ტერორისტებმა უკვე დიდი ხანა გამოიყენეს სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი სატელეფონო სპეპროგრამა, რომელიც განსაკუთრებულ



## თალიზი

თმის გაღმარების კლინიკა



თბილისი, 4.7 ბარა 25 27 28  
www.talizi.ge





სიტყვებზე (აგრეზიენტები, „ბომბი“ და სხვ) რეაქტებს და საუბრებს ავტომატურ რეჟიმში იყენებს.

„ალ-ქაიდა“, „ქემბოლაი“ და სხვა ტერორისტული და ექსტრემისტული ჯგუფები უკვე მოსწინებისაგან მაქსიმალურად დაიცვეს კავშირის არსება და ტექნიკურ საშუალებებს იყენებენ, ან საუბრის დროს ადრევე დათქმულ პირობით ტერმინებს ხმარობენ, მაგალითად, „აგრეზიენტები“ – სანტეჟნიკოსია, „ბომბი“ – ტეჟმალი. ისიც უნდა თქვათ, რომ ცხს-ს უდიდესი ობიექტური პრობლემები ჰქონდა და აქვს ტერორისტულ ჯგუფებში ავანტურის შესრულება და დანერგვაში. დიქტატორული რეჟიმების ქვეყნებში ავანტურული მუშაობა ისტორიულად უფრო ხელსაყრელია. ერანის, ირანის, ავღანეთის, როგორც კლასიკური ადმოსოვლური დიქტატორული ქვეყნების წარმართული სპეციფიკა ის არის, რომ ავანტურული შედეგად ასეთ ქვეყნებში თითქმის შეუძლებელი იყო და არის. იქ არ არსებობდა რელიური ან მღიბური შიდა ობიექცია, რომელთანაც შეიძლებოდა ოპერატიული მუშაობა და სადაზვერუო პოზიციების მოპოვება-განაგრება, გართულებულია ინფორმაციის სახლი წყაროს გადმოძიებაც. ამ ქვეყნებში მოქმედებდა (ირანში ეს ამჟამადც არის) საბჭოთა კავშირის 1950-1990 წლების ჩაკეტული ადმინისტრაციული მოდელი „რკინის ფარად“, ოდინდ უფრო რთული, ადმოსოვლური საეციფოჟია.

ბევრი გადმოძიებული ავანტური, შედეგებს თუ არა ტერორისტულ ორგანიზაციაში, სწრაფადვე მათ მხარეს გადადის, რამაც გადამწყვეტი მოქმეტი

რელიგიური („ურწმუნთა წინააღმდეგ მებრძოლი ისლამის“) ფაქტორი იყო და არის.

ტერორისტულ ჯგუფებში ავანტურული მუშაობის დამატარებელია აგრეთვე ნათესაური კავშირები და გადაწყვეტილებების მიმღები ხელმძღვანელი ჯგუფის მცირერიცხოვნობა.

ამერიკის დაზვერვის ერთ-ერთი ფსიქიატრი მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ აცხადებს, რომ „ალ-ქაიდას“ წევრთა 60%-ზე მეტი მრავალი წელია ერთმანეთს იცნობს, ხოლო 20% კი ნათესავეები არიან. მაგალითად, ცნობილი პალესტინელი ტერორისტის აბუ-ნიდალის ორგანიზაციაში მხოლოდ ნათესავები იღებდნენ.

მეუფეადრე იმისა, რომ მთელ მსოფლიოში „ალ-ქაიდას“ ქსელთან მრავალათას ტერორისტს აქვს მჭიდრო კავშირი, საბოლოო გადაწყვეტილებას ტერაქტების ჩატარებაზე იღებს 200-300 კაცისგან შემდგარი კონსპირაციული ჯგუფი, რომელსაც ხელ რამდენიმე პირი აკონტროლებს.

აშშ-ის ეროვნული დაზვერვის ოფისმა (რომელმაც კორდინაცია უნდა გაუწიოს ამ ქვეყნის 15 სპეცსამსახურის ერთობლივ მოქმედებას ტერორიზმის წინააღმდეგ) რამდენიმე წლის წინ გამოაქვეყნა სტრატეგიული გეგმა, სადაც პრიორიტეტად ოპერატიული და ანალიტიკური მუშაობის გაძლიერება, ხოლო მეთოდად კი „აგრესიული კონტრდაზვერვა“ (ტერორისტულ ორგანიზაციებში ავანტურული შედეგად) არის დასახული.

ოფიციალურ სტრუქტურებიდან ერ-

თად ენერგულად ამოქმედდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია და ფონდი. კარდინალურად შეიცვალა ჯერ კიდევ 2001 წელს აშშ-ის დაზვერვის დასახმარებლად შექმნილი „აქტრობერტის“ სახელობის ფონდის“ საქმიანობის პრიორიტეტები. ფონდი, რომლის კაპიტალი 4 მლნ დოლარს შეადგენს, სტაბილიზაციის უზრუნველსტრეგიული სპეციალობების (ანთროპოლოგიის, უცხო ენების, უაზრდევლსად კი არაბოლის, ჩინურის, ფარსის, პუშტუს და სხვ.) შემსწავლელ წარჩინებულ სტუდენტებს, ამ პირობით, რომ სწავლის დასრულების შემდგომ მუშაობას ამერიკის დაზვერვაში გააგრძელებენ.

ამერიკის დაზვერვაში მხოლოდ მაშინ შემოიღებენ, როცა აღმოაჩინეს, რომ არ ჰყოფიან საიმედო არაოფიციალური „სახურავით“ მოქმედი ფარული ავანტურების საჭირო რაოდენობა, განსაკუთრებით აზიისა და ახლი ადმოსოვლეთის ქვეყნებში.

### ტერაქტების საფრთხე უფრო გაიზარდა

ამერიკელების ინფორმაციით, ბენ ლადენის ცხედარი ავიაშიდ „კარლ ვენსონის“ ბორბიდან ზაგაში ჩაუქმეს, ხოლო ხმელეთზე დამარხვისგან თავი იმტოვ შეაკეთეს, რომ დაკარგვის ადგილი ტერორისტებისთვის წმინდა ადგილად არ ქვეყლიყო.

როგორც ცნობილი გახდა, თვით სახლში მსჯელობის შემდგომ, მოკლული ბენ ლადენის ფოტოს გამოქვეყნებისგან პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შეიკავა თავი, რადგან ეს შეიძლება „პროპაგანდის ინსტრუმენტი“ გახდეს, გამოიწვიოს ძალადობის ახალი ტალღა და სხვა ქვეყნებში ამერიკულ სახელდრობის ყოფნა გაუზარდოს.

მსოფლიოს №1 ტერორისტის სპეციდლის შესახებ მის თანამებრძოლს და №2 ტერორისტად შერაცხილ ალ-ზავაჰირს კომენტარი უკრ არ გაუკეთებია. ექსპერტების აზრით, „ისლამური ჯიჰადის“ ლიდერი შურს იძიებს ბენ ლადენის მკვლელობისთვის.

თალიბებმა „ალ-ქაიდას“ შეთაურის სპეციდლის გამო შურისძიების პირობა უკვე დადეს. სამწუხაროდ, ბენ ლადენის ადგილი შეიძლება სხვა, უფრო დაუნდობელმა ტერორისტმა დიკავის და საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდოს.

### ბენის ალადავილი

ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უმნიშობის გადამდგარი პოლკონიკი



# „გზის თვალის ფარის გარეშე“



## ბრძოლა მოკლე დისტანსიაზე

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N9, 2011 წ.)

არსებობს ნაკადი და გამოცდილი რამდენიმე პრაქტიკული ხერხი, რომელსაც ახლო ბრძოლისას იყენებენ:

- ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ ორი მჭიდის ერთმანეთთან საიზოლაციო თასმით გადაბმის მკურე პრაქტიკა, რადგან:

- მიხი მოხსნა, ამოტრიალება და ისევ მიმაგრება დაახლოებით იმდენივე დროს მოითხოვს, რაც მოშაადებულ სამხედროს ცარიელი მჭიდის ახლით შეცვლაზე ესაჭიროება;

- უკარგავს იარაღს სიმძიმის ცენტრს;

- ართულებს დაწოლილი პოზიციიდან იდაყვებზე დაყრდნობით სროლას;

- დიდი საშიშროებაა ტალახსა თუ მტვერში გადაადგილებისას ქვედა პოზიციამო მყოფი მჭიდი ჭუჭყლით შეფაროს, რაც ვაზნების გაჭედვას გამოიწვევს;

- დახურულ სურეცეში სროლის კორექტირებისთვის სასურველია, რომ მჭიდი ფოეული მე-3 ან მე-4 ვაზნა მანათობელი იყოს.

- ასევე სასურველია მჭიდის დაცვის ინდიკაციისთვის ბოლო 2 ან ბოლო 2-3 ვაზნის წინა ვაზნა მანათობელი იყოს, რაც საშუალებას იძლევა, მსროლელმა დროულად გაითვალისწინოს მჭიდის დაცვის მოახლოება და ისე

გამოცვალოს მჭიდი, რომ გადატენაზე დრო აღარ დახარჯოს.

- პატრულის (შხირის) წვობა ტყეში ან მთაში სასურველია ერთმწკრივა („უგაჭყი“) ან Y-ის მაგვარი („ფილი-სებრი“) იყოს. თუმცა საქართველოში

საბრძოლო მოქმედებების გამოცდილებით, საუკეთესო მაინც „რომბია“, რომელიც 360° სექტორის გაკონტროლების საშუალებას იძლევა.

- ორმაგი მწკრივის გამოყენება დასახლებული პუნქტის გარდა, არ მიიან-

**ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ ორი მჭიდის ერთმანეთთან საიზოლაციო თასმით გადაბმის მკურე პრაქტიკა**





**ჩასაფრებაში ჯარისკაცი კონცენტრირებული უნდა იყოს მტრის განადგურებაზე**

ნია მიზანშეწონილად — ჩასაფრებაში მოხვედრისას ურთიერთდაზიანების საფრთხის გამო.

● ნებისმიერ შემთხვევაში, წვობის ფორმა გერეო პირობებისა და მოწინააღმდეგის შესაძლებლობისგან გამომდინარეობს.

● ახლი დისტანციაზე კონტაქტის დროს დაუფრენებელ რეაქციას, სიზუსტესა და ჩამხშობ საპასუხო ცეცხლს, ე.წ. „საცეცხლე დუელის მოგებას“ პირველვე წამებიდანვე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ დროს, რაც უფრო მოუშაადებელია მოწინააღმდეგე, მით მეტად არის ერთმანეთთან ახლი დისტანციაზე მოქმედებისთვის გადასვლის მცდელობა. შორი მანძილიდან გახსნილი ცეცხლი უსარგებლოა და მომზადებული მებრძოლები მოწინააღმდეგის უკეთ გასანადგურებლად დისტანციის შექცევრებას მანევრების შესრულების გზით ცდილობენ.

ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის ვიზუალური ინდიკატორს ნიშნობა: მოხაზულობა, ჩრდილი, ანარეკლი, სილუეტო და მოძრაობა. ახლი ბრძოლისას დროის დეფიციტის გამო ხშირად მოწინააღმდეგის ადგილსამყოფელს ინსტინქტურად შეიგრძნობ. გერეოში რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება პიროვნების გამოცდილებითა და უქცევრებას დეტალურ

ბის შექმნევის უნარი. ასეთ შემთხვევებში აქტუალურია სამხედრო გამოცდილებიდან გამომდინარე კანონი: „თუკი რამეზე ეჭვი გეპარება — დააცალე მჭიდი!“

სახიცოცხლო მნიშვნელობის წესია — არასდროს მოიშორე იარაღი! ბრიტანეთის სპეციალური საპაერო სამსახურის (SAS) მებრძოლებს ერთხანს მხარზე გადასაკელი თასები იარაღზე მოხსნილიც კი ჰქონდათ, რათა უმედივად მებრძოლი მზადყოფნაში ჰქონილიათ.

ახლი ბრძოლაში გასროლა, რომელიც მტერს მისივრად ვერ შეაჩერებს, მიზანს აცილებას ბევრად არ სჯობია. მიზნის მხოლოდ დაზიანება საკმარისი არ არის, საჭიროა მისი დაუფრენებლივი გაუქვებლება.

ჩვეულებრივ, სამხედრო სწავლობს სამიზნის ველაზე ფართო და უძრავ ნაწილზე დამიზნებას (მტრდის, მუცლის არე), რაც დისტანციურ საცეცხლე დუელში მისაღებია.

ახლი ბრძოლაში მებრძოლი კონცენტრირებული უნდა იყოს მოწინააღმდეგისთვის ველაზე შემანერებელ წერტილში — თავში სროლისთვის, რაც ერთი, ან რამდენიმე სამიზნეზე რეფლექსების დინეზე უნდა იყოს გამოთუშვებული. ვერ შეძლებ ამას, შეძლებს მოწინააღმდეგე! შეუძლებელი არაფერია, სწორი წერტილისა და მონდომების შემთხვევაში ძალზე ადვილად მიიღწევა.

ახლი ბრძოლისას ვითარების წეს-

რად შეფასებისთვის მცირე ქვედანაყოფებისა და ჯგუფების მეთაურებს უნდა შეუძლიდ მოწინააღმდეგის ცეცხლის სიმჭიდროვის მიხედვით მისი რაოდენობის, შეიარაღების და განლაგების სქენით განსაზღვრა.

AK-ის საბრძოლო სროლის ტემპი ძალზე მაღალია. ერთი 30-გზნიანი მჭიდის დაცლას ვერით მხოლოდ 3 წმ-მდე სჭირდება. ამდენად, მიზანშეწონილია ერთჯერადი სროლის რეჟიმის გამოყენება, რომლის დროსაც გამოცდილ მებრძოლს შეუძლია საკმაოდ მაღალი ტემპით ისროლოს იარაღის შესაბამისი კორექტირებით.

ახლი ბრძოლისას ზოგჯერ საჭიროა ავტომატური ჯერის გამოყენება, განსაკუთრებით, თუ ახლი მანძილზე მოულოდნელად გადაყვრება მოწინააღმდეგის ჯგუფს. ვინაიდან „კალამნიკოვის“ ჯვრით სროლისას უკუცემა დულას ხრის მარჯვენა და ზვეთი, ამდენად სასურველია სროლა უახლოესი მარცხენა მანძიდან დავიწყოთ.

არტილერიის შეზღუდულად გამოყენებისას ხელის რეაქტიულ ვუმბარსატორცნებს შეუძლია ახლი დისტანციებზე საბრძოლო მხარდაჭერის როლის შესრულება, რაც ზოგჯერ შეიძლება უფრო ეფექტურიც კი აღმოჩნდეს, ვიდრე 122 მმ-იანი პაუბიცია.

ბრძოლის დროს ვუმბარსატორცნელი, თანაშემწის გარდა, უნდა ეზმარებოდეს კიდევ ერთი მებრძოლი.

ამით იზრდება წყმარამტყორცნების დაცულობა, რადგან რამდენიმე გასროლის შემდეგ მისი სმენა სრულად ვეღარ აღიქვამს ბრძოლისა და ბრძანებების ხმას და ადვილად მოწყველადი ხდება ახლო ბრძოლაში.

დაუშვებლად მიმანია ახლო ბრძოლისას საცეცხლე ვაჟოების ახლო წყობით, მხარდამხარ გადაადგილება, რაც პოლიციური ტაქტიკის ელემენტია. ის, რაც ეფექტიანია მძვავლანგებულად და ითანხმო გამაგრებული ტერიტორიის წინააღმდეგ, სახიფათოა სამხედრო ქვედანაყოფისთვის დაუშვებელია. ერთი ხელ-წყმარის კოლექტიური მსხვერპლი შეიძლება 4 თუ 6 მებრძოლი გახდეს.

გარდა ამისა, როგორც საკუთარი გამოცდილებიდან ვიცო, ჩუნი რეალური მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები კარგად არიან შეიარაღებული ხელის რეაქტიული წყმარსატყორცნებით (PPI) და ამგვარი ვაჟოური სამიზნის შედარებით ნელი გადაადგილება მათთვის ადვილად მოწყველადი იბიექტიც.

PPI-ს კუმულაციური გასროლაჲკი აფეთქებისას 4 მ-ის რადიუსში პირად შემადგენლობას აზიანებს. არ უნდა დაგკვიწყდეს, რომ არსენალში ფუგასურ-მსხვერვადი წყმარებიც და ჯარისკაცური „ეშმაკობები“: PPI-ს წყმარაზე მკეთულის შემოხვევა ან საბოლოაიო ღებრით შვა ელემენტების მიმაგრება (ლურსმნები, რკინის ჭანჭიკები და სხვა).

ახლო დისტანციაზე ბრძოლაში ლულქვეშა წყმარსატყორცნის (PPI-25) გამყენებისას სასხლეტის დაშო-

რებული მდებარეობის გამო პირდაპირი დამინებით მიხანში ამილება და სროლა რთულია. ბევრად მარტვია მისი ხმარება, თუკი მხარზე მიყვრნობით არა ავტომატის კონდახს, არამედ ავტომატის პისტოლეტურ სახელურს. ასევე არ უნდა დაგკვიწყდეს, რომ PPI-25-ის წყმარა საბრძოლო მდგომარეობაში გასროლიდან 10-20 მ-ის ფრენის შემდეგ მიდის. უფრო ახლო მანძილზე წყმარა შეიძლება არ ავითქვდეს.

ახლო ბრძოლისთვის არსებობს რამდენიმე უმარტვესად დასამახსოვრებელი, მაგრამ ხშირად მთელად შესასრულებელი წესი:

— ჯობს იმოქმედოთ წყვილებად, სამეულებად, ოთხეულებად, ვიდრე ეულად;

— ერთმანეთთან კავშირი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. წინასწარ უნდა იყო შეთანხმებული ყოველი სიგნალი, ექსელი, მოქმედება. ნებისმიერმა მებრძოლმა ერთნაირად უნდა გაიგოს მინიშნება;

— იყავი მაქსიმალურად ყურადღებით უმნიშვნელო დეტალები არ არსებობს;

— მუდმივად იაზროუნე. შეარჩიე საუკეთესო საფარი, გადაადგილების მარშრუტი, მოქმედების ვარიანტი, პრიორიტეტული სამიზნე და ა.შ.;

— მუდმივად განსაზღვრე შენი ადგილი გარემოში. იცოდე, სად არიან შენი ანები, სად — მტერი. დიდი მნიშვნელობა არა აქვს მტრის ტყვია მოხვედება თუ შენიანის, თუმა ეს უკანასკნელი უფრო „გულდასაწყვეტია“;

— ბრძოლის წინ შეგაროვე ინტერმაცია გარემოს, მოწინააღმდეგის, საკუთარი ამოცანის შესახებ;

ბევრი განვითარებული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები თავიანთ ქვედანაყოფებს ცხელ წერტილებში სხვადასხვა მისიაში მონაწილეობისთვის აგზავნიან, რათა ამ გზით შეძლონ საბრძოლო გამოცდილების მიღება, რომლის გარეშეც ბრძოლისუნარიანობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია.

1990 წლიდან, საქართველოში დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, კონფლიქტები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, სამხედრო ოპერაციები პანკისის ხეობაში, კოდორის ხეობაში და ა.შ., რომ აღარაფერი ვთქვათ კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობაზე, ერაყსა და აფღანიეთში კონტინენტების გაგზავნაზე...

დღემდე ვერ მოხდალა ქართველ სამხედროთა ბრძოლი პრაქტიკაზე დაფუძნებული რამდენადმე ღირებულ ნაშრობი, რაც ძალზე გამოადგებოდათ ახალგაზრდა მებრძოლებსა და მეთაურებს. ეს საყვედური უპირველეს ყოვლისა, ავეკუთვნის ამ ბრძოლებისა და კამპანიების ვეტერანებს. იმედი, ეროვნული სამხედრო აკადემიის ახალი ხელმძღვანელობა შემდგომში ამის ორგანიზებას, სისხლსა და ოფლზე დაფუძნებული ამ გამოცდილებისა და ცოდნის ქართველ სამხედროებამდე მისატანად.

პასტანბ ძაბანამქ, ბრიგადის გენერალი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი

**განახლებული რეზორიკა**

**ავტოგანცხადებები „სიტყვა და საქმი“ ხუთშაბათის ნომერში**

**ავტო**

სიჩყვა და სიტყვა ავტო

საქმიანი გაცხადებები [www.ავტო.გე](http://www.ავტო.გე)



# „ტყის სამშო“ — დაღესტნური გეოპოლიტიკური გაერთიანება აზერბაიჯანში



## „ლეზგიანების სამოშის“ აზერბაიჯანში და „ას-სალაფიის“ ოსმალური მოძრაობა

აზერბაიჯანში მრავალფეროვან სახელმწიფო ვერ ჩათვლება, თუკი მის ჩრდილო ნაწილში — ბელაქანის, ზაქათალის, კახის, ნუხის, ოლუხის, ისმაილის, შექის, გაბალის, ყუბისა და ხანზახის რაიონების მოსახლეობა შირის იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლების ხვედრითი წილი მნიშვნელოვანია: 1989-1990 წწ. აღწერათა მასალების მიხედვით, ხსენებულ რაიონებში არათურქული წარმომავლობის საუკუნო მელიონამდე კაცი ცხოვრობდა; მათგან 300 ათასამდე ლეზგი, 150 ათასამდე ხუნძი, 12 ათას ქართველი და 6-7 ათასი უდი იყო. დღეს ეს მონაცემები მხოლოდ უმნიშვნელოდაა შეცვლილი — საერაულოდ, ლეზგიები და ხუნძები ოდნავ უფრო მეტნი არიან; ქართველების რაოდენობა უცნობია, ხოლო უდიები კი თითქმის სულ გაქრნენ. ამ ხალხთა დიდი ნაწილი (უდიების გარ-

და) რწმენით ხუნძი მუსლიმანია, მაშინ როდესაც აზერბაიჯანელები, ტრადიციულად, შიიტები არიან. როგორც ამბობენ, ძაღლის თაყი აქ არის დამარხული.

